# ცნობის ფურცელი

V წ. | ყოველ-დღიური გამოცემა.— შაბათი, 26 აგვისტო 1900 წ. | № 1221

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

რედაქცია იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზედ უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

ტელეფონი № 372.

„მოამბე“ 1900 წ. „ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)

**გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში.**

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

1 წლით 6 თვით 3 თვით
10 მანეთი 6 მან. 4 მან

სამზღვარ გარედ წლიურად 13 მან.

(წელიწადი მეხუთე)

**გამოვა ყოველ დღე კვირა უქმეების შემდეგაც.**

გაზეთის ფასი გაგზავნით:

1 წლით 6 თვით 3 თვით 1 თვით
6 მანეთი 3 მ. 50 კ. 2 მანეთი 75 კაპ

სამზღვარ გარედ წლიურად 7 მანეთი.

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ.

პირველად 3 მან., 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ.

**ვინც „მოამბე“-ს ერთისწლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ დაეთმობა გამოწერის დღიდან**

**წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი**

ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება, სხვათა შორის, შინაური და უცხოეთის მიმოხილვა.

გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბავი) და სხვ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ. მეოთხეზე—5 კ.

თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.

ვაუწყებთ მკითხველ საზოგადოებას, რომ გაზეთ

**„ცნობის ფურცლის“**

დაბარება **თვიურად** ან **მეტის ვადით** შეიძლება მხოლოდ თვის **პირველ** რიცხვიდან დამლევამდის.

## რედაქციისაგან

ვაგონებთ ჟურნალ „მოამბის“ და გაზეთ „ცნობის ფურცლი“-ს ხელის მომწერთ, რომ დარჩენილი ხვედრი გადასახადისა **უეჭველად პირველ სექტემბრამდე უნდა წარმოადგინონ**, წინააღმდეგ შემთხვევაში სექტემბრიდან ჟურნალის და გაზეთის გაგზავნა მოესპობათ.

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**24 აგვისტო**

**შანჰაი.** ცზიანსუს გუბერნატორი 5000 კაცით მოვიდა შანდუნის მიჯნამდე, მაგრამ, მოვიდა რა ამბავი პეკინის ევროპიელებისაგან აღების შესახებ, ჯარის უმთავრესი ნაწილი გაიქცა-გამოიქცა, დანარჩენი ჯარი მიდის დასავლეთისაკენ და შეუერთდება ქვრივ დედოფალს. ავსტრიელები გადმოსხამენ 50 კაცს.

**ლორენცო მარკეზი.** აქ მოიტანეს 31 ყუთი ოქროთი სავსე, ყუთები ეკუთვნის ტრანსვაალის მთავრობას.

კრიუგერი, უეჭველია, გამოივლის ინკომატზე, სადაც, ამბობენ, მომზადებულია ორი პუკსირი იმ გემის სამოძრაოდ, რომელიც მდინარის შესართავთან იცდის. ავსტრიის ლლოიდის გემი მოვიდა ლორენცო-მარკეზში და თან მოიტანა 50,000 საცალო ფქვილი ტრანსვაალის მთავრობისთვის.

**ჰონკონგი.** კანტონში უწესოება მატულობს. ბრბო დაეცა იმ დუქნებს, რომელშიაც უცხოეთის საქონელს ჰყიდიან. ქალაქი შიშის ზარმა მოიცვა.

**ტიანძინი.** ოთხი გამოჩენილი წევრი „დიდი მუშტისა“ დღეს სიკვდილით დასაჯეს. ორი მოკლეს ფრანგებმა და ორს თავი მოჰკვეთეს იაპონელებმა.

**ტაკუ.** ჩქარა ექსპედიცია წავა პაოტიანფუში ასი მილის მანძილზე ტიანძინიდან დასავლეთით, რათა იქიდან განდევნოს „დიდი მუშტის“ მომხრენი, რომელთაც იქ მოახდინეს პირველი არეულობა. ამბობენ, რომ, ლიხუნჩანგის ბრძანებით, ჩინური ჯარი სდევნის და ჟლეტს „დიდი მუშტის“ მომხრეთ ხუანისა და ჩჟილის პროვინციებში.

რუსებს განზრახვა აქვთ აღადგინონ მიმოსვლა პეკინის რკინის გზაზე.

**ბერლინი.** ცზენჟოუს გუბერნატორი იუწყება ცზინტაუდან, რომ გერმანელთა სადარაჯო რაზმს, რომელიც შესდგებოდა 20 კაცისაგან, თავს დაესხა 400—500 მოკრივე. უკანასკნელთ მოუკლეს 40-მდე კაცი; გერმანელთ ზარალი არ უნახავთ.

**ქრისტიანია.** მიღებულია ტრომზეს შემდეგი დეპეშა: „გემი „სტელლა პოლარე“ თერთმეტი თვე გაყინულ ზღვაში იყო. გემის ერთი მხარე და მაშინა გაფუჭებული არიან. ექსპედიცია მივიდა 86°33', მაშასადამე ნანსენზე უფრო ზევით, ჩრდილოეთით, რადგანაც ნანსენი მხოლოდ 86°14,-მდე მივიდა. ექსპედიციის წევრები შეაწუხა შიმშილმა; ისინი ძაღლის ხორცით თურმე იკვებებოდნენ. ბოლო ხანებში გარდაიცვალნენ ნორვეგიის მაშინისტი და ორი იტალიელი.

**პარიზი.** გენერალი ფრეი იტყობინება 11 აგვისტოს, რომ პეკინში მყარდება მშვიდობიანობა; მცხოვრებნი უკანვე ბრუნდებიან; ქალაქი იღებს ჩვეულებრივ სახეს. მოკავშირეთა ჯარებმა შეადგინეს მზვერავი რაზმი, რომელიც მოქმედობს ქალაქის მიდამოებში 30 კილომეტრის მანძილზე; მტრის ჯარი ამ ადგილებში არ სჩანს. ქვეყანა მშვიდობიანად არის; სოფლებში დაიწყეს მუშაობა.

## სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

✶ ერთი ინგლისური გაზეთი იტყობინებს სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ამბავს, ვითომც მოკავშირეთა ჯარებმა ჩქარა უნდა დასტოვონ პეკინი და შეგროვდნენ ტიანძინში, სადაც მოვლენ სახელმწიფოთა წარმომადგენელნი მშვიდობიანობის ჩამოგდებისათვის მოსალაპარაკებლად. იმავე წყაროებიდან იტყობინებიან, რომ სახელმწიფოებს, რომელთაც ჩინეთში რკინის გზები აქვთ, განზრახვა აქვთ დაარსონ რკინის გზების დამცველი რაზმები.

✶ ეხლა რაღა დარჩენიათ ევროპიელებს ჩინეთში? ჰკითხულობს პეკინში გერმანიის ელჩად ნამყოფი ფონ-ბარნდტი და ამ კითხვაზედ თვითონვე შემდეგ პასუხს იძლევა: სახელმწიფოებმა ყოველი ღონისძიება უნდა იხმარონ, რომ ლიხუნჩანგის ან სხვა პროვინციების მმართველთა საშუალებით დაარწმუნონ ქვრივი დედოფალი, რომ ჩინეთის ინტერესები თხოულობენ მის პეკინში დაბრუნებას. თუ ვინცობაა რჩევა ვერ გასჭრის, მაშინ უნდა აღეკრძალოს პროვინციების ხაზინებიდან ფულების მიცემა. ეს საშუალება ჩქარა აიძულებს დედოფალს პეკინში დაბრუნდეს. ამ დროს განმავლობაში შესაძლოა მთავრობის მოხელეებთან მოლაპარაკებით დამთავრდეს მატერიალური მხარე კითხვისა. უმთავრესი, რასაც უნდა ერიდონ სახელმწიფოები,—ეს ჩინეთის დინასტიური კითხვის ხელშეუხებლობა არის. უცხოელ სახელმწიფოებისაგან ტახტზედ აყვანილი იმპერატორი ნახევარ წელიწადსაც ვერ შესძლებს იმპერატორობას. ნამდვილი დამშვიდება ჩინეთისა შეუძლიან ჩინეთისავე მთავრობას. სახელმწიფოები შეცდომაში შევლენ, თუ იფიქრებენ, რომ ჩინეთში მუდმივ შეიძლებენ დაიცვან წესრიგი manu militari. ჩინეთის შეშინება შეუძლებელი დაა, რადგანაც ჩინელი მუდმივ შიშს ქვეშ იმყოფება.

✶ დიპლომატთა წრეებში უფრო და უფრო რწმუნდებიან, რომ ფელდმარშალი ვალდერზეეს დანიშვნა, საქმეთა მსვლელობის გამო, შეიძლება, შესამჩნევად გაფართოვდეს და მიიღოს უმთავრესად პოლიტიკური ხასიათი, შესაძლებელია რომ ვალდერზეე იქნება, როგორც სთქვა ერთმა დიპლომატმა, არა მარტო მთავარ-სარდლად მოკავშირეთა ჯარებისა არამედ დიპლომატიურ მთავარ-სარდლადაც ჩინეთის საქმის საბოლოოდ გადაწყვეტის დროს. უნდა მივაქციოთ

ყურადღება იმ ფაქტსაც, რომ გადდერჩენ წავა ჩინეთში პეკინის აღებისა და ელჩთა განთავისუფლების შემდეგ და იმპერატორი კიდევმი არასოდეს არ გაჰგზავნიდა ესეთ მაღალ-წარჩინებულ პირს, რომ გადდერჩეს დანაშაულება არ იყოს უფრო ფარტო, სანამ მთავარ სარდლობა მოკავშირეთა ჯარებისა პეჩილიში, სადაც გადდერჩეს მასკლამდე, შესაძლებელია, საომარი მოქმედება სულაც აღარ იყოს საჭირო.

∝ მთელი ევროპა საყოველთაოდ გაკვირვებულია, რომ იაპონია ასე სწრაფად გადიქცა ევროპიულად განათლებულ სახელმწიფოდ, მაგრამ საკვირველი აქ არა არის რა, რადგანაც იაპონია მკვლეთაგანვე განვითარებული ქვეყანა იყო და ყოველთვის მზად იყო შეეთვისებინა და მიეღო სხვა და სხვა ახალი სწავლა. აი მაგალითი: 552 წელს იაპონიაში გაჩნდა პირველი ბუდდისტი, პირველი მიმდევარი საკიამუნისა. ასი წლის შემდეგ მთელი იაპონია გაჩინელდა, გარეგნობის მხრივ მაინც, კალენდარი, ლიტერატურა, ენა, სარწმუნოება, ტანსაცმელი, მოხელეთა წეს-წყობილება —ყველაფერი იყო გადაღებული ჩინეთიდან, რომელიც წარმოადგენდა მაშინ იაპონელთათვის დასავლეთის განათლებას და ყველა ეს მოხდა ურევოლიუციოდ.

---

# ახალი ამბავი

✦ მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე 24 აგვისტოს ჩამოვიდა ტფილისში.

✦ კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარია და სამხედრო სახალხო სამმართველო გუშინ, 24 აგვისტოდს, კოჯრიდან ტფილისში გადმოვიდა.

✦ 29 აგვისტოს, ტფილისის ქალაქის საბჭოს სადგომში, ტფილისის გუბერნატორის მიწერილობის თანახმად, მოხდება ტფილისის ხელოსანთა დეპუტატების კრება, რომელზედაც განიხილავენ ხელოსანთა წოდების კასის შემოსავალ-გასავალს 1897 წლის 18 ნოემბრიდან 1900 წლის 1 იანვრამდე და მიმდინარე წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვას სახელოსნო სამმართველოისას.

✦ ხუთშაბათს, 24 აგვისტოს, ქალაქის გამგეობის დარბაზში ი. ს. ალიხანოვის თავმჯდომარეობით სხდომა ჰქონდა ქალაქის სასწავლებელთა კომისიას. თავმჯდომარემ წარუდგინა კომისიას განსახილველად საქმე ამაღლების სკოლის მოსათავსებლად შენობის დაქირავების შესახებ. როგორც თავმჯდომარემ განაცხადა სხდომაზე დათვალიერებიათ სამი სახლი: ხობლოვსკისა ორლოვის ქუჩაზე, ალიხანოვისა კოჯორის ქუჩაზე და არღუთინსკისა აბას-აბათის მოედანზე. სკოლისათვის ყველაზე უფრო მოსახერხებელი შენობა აღმოჩენილა ალიხანოვისა, რომელიც სახლის ქირას წლიურად 1200 მანეთს თხოულობს და თუმცა უთხოვნიათ დაკლება. მაგრამ იგი არა თანხმდება ნაკლებ სახლის გაქირავებას. ამიტომაც ამ სახლის ქირაობას დაანებეს თავი, რადგანაც ხარჯთ აღრიცხვით ამ სკოლის შენობისათვის გადადებული აქვთ მხოლოდ 900 მანეთი წელიწადში. შემდეგ კომისია შეჩერდა არღუთინსკის სახლზე, რომელსაც არა უშავს-რა სკოლის მოსათავსებლად. არღუთინსკი ამ ჟამად საზღვარ გარეთაა, შეჰკითხვიან წერილობით სახლის დათმობის შესახებ, მას შემოუთვლია შეატყობინონ რამდენს მისცემს ქალაქი ქირას წლიურად და ან რამდენს ხანს უნდათ იქირაონ მისი სახლი. კომისიამ დაადგინა შეატყობინოს ბ-ნ არღუთინსკის, რომ ქალაქი გაიღებს ქირას ამ სახლისთვის წელიწადში 900 მანეთს და დაიქირავებს ხუთის წლით; ამასთანავე კომისიამ დაადგინა სთხოვოს ქალაქის გამგეობას თავისი აგენტების საშუალებით ამ სკოლისათვის სხვა სახლებიც დაათვალიერონ. კომისიამ შეიწყნარა თავმჯდომარის, ბ-ნ ალიხანოვის, მოხსენება, რომ წინადადება მიეცეს ქალაქის სასწავლებელთა მართველთ, რათა მათ ყოველთვის გამოუგზავნონ ხოლმე ცნობები კომისიას იმის შესახებ თუ რამდენი თხოვნა მიიღეს სკოლაში ბავშვების მიღების შესახებ, რამდენი მიიღეს, რამდენს უარი ეთქვა და რა მიზეზით.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ორი სახალხო უფასო სამკითხველოსა და ვერის საკვირაო სკოლის მმართველის ქ-ნ ანასტასია მიხეილის ასულის წერეთლის შუამდგომლობა სკოლისა და სამკითხველოთათვის ფულით შემწეობის აღმოჩენის შესახებ, კომისიამ გადასდო იმ დრომდე, ვიდრე კომისია განიხილავს მომავალ 1901 წლის ხარჯთ-აღრიცხვას. ასევე იქმნა გადიდებული დიდუბის ქალაქის სკოლის ყოფილ მასწავლებლის შემწეობის აღმოჩენის შესახებ.

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს შეუტყობინებია სიღნაღის ქალაქის მმართველობისათვის, რომ სიღნაღის საქალებო სასწავლებელი გადაკეთებულ იქმნა იმ ხარისხის ბ სახელის სასწავლებლად, როგორიც არსებობს ბათუმში მარიამის სახელობაზედ, და გადაიდო ამ სასწავლებლის შესანახავად სახელმწიფო ხაზინიდან 1500 მანეთი წლიურად, გარდა იმ 600 მანეთისა, რომელსაც აძლევს საქალებო სასწავლებელს ქალაქის მმართველობა ბ იმ საშუალებისა, რომელიც ყოველ წლიურად გადადებულია თვით სასწავლებლის საშუალებათაგან. სიღნაღელები ამ ამბავმა მეტად გაახარა.

✦ კავკასიის სასწავლებლებთაგან პარიზის გამოფენაზე ჯილდო მიიღეს: გორის პირველ-დაწყებითმა სკოლამ—ოქროს მედალი და ფოთის სამოქალაქო სასწავლებელმა—ქების ფურცელი. გარდა ამისა ჯილდო მიიღეს საერო განათლების ზოგიერთმა მოღვაწეებმა: კავკასიის სამოსწავლო ოლქის ინსპეკტორმა მ. რ. ზავაცკიმ—ოქროს მედალი და მე-3 ხარისხის კერძო სასწავლებლის მექონმა მ. ვ. აკინფიევმა —ვერცხლის მედალი.

✦ შავი ქვის მრეწველთა კრებისაგან მოხსენებული მადლობის პასუხად, ამ კრების თავმჯდომარე ელირსა შემდეგი დეპეშის მიღება, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისაგან: „გულწრფელი მადლობელი ვარ თქვენის კრებისა გუშინდელ გულითად მოკითხვისათვის. მსურს თქვენის საქმის წარმატება და წინ მსვლელობა.“

✦ სახელმწიფო ქონებათა და მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულის განკარგულებით ამ დღეებში დაიბეჭდა კატალოგი იმ ხილისა და დეკორატიულ ხეებისა, რომლებიც დანიშნულ არიან გასასყიდად 1900 წლის შემოდგომაზე და 1901 წლის გაზაფხულზე ტფილისის ბოტანიკურ ბაღში. ეს კატალოგი გუშინ გადაეცა გასავრცელებლად საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობის უკანასკნელ სხდომაზე გამგეობის წევრმა ა. მ. არღუთინსკი დოლგორუკოვმა მოხსენება შეიტანა, რომ აქამდე „ლოტკის გორაზე“ მიწის მიზომის დროს ერთმეოდა ყველას სამ-სამი მანეთი გეგმის შესადგენად, მაგრამ რადგანაც ამ ჟამად გამგეობას აქვს მზად ლიტოგრაფიაში დაბეჭდილი გეგმა და ამას იქით ცალკ-ცალკე ნაჭრის გეგმის შეთგენა საჭირო აღარ არის, სამართლიანი იქნებოდა, რომ დავაკლოთ ზემო აღნიშნული გეგმის ფულიო. გამგეობამ დაადგინა: „ლოტკის გორის“ მოიჯარადრეებს ამის შემდეგ გამოერთვათ გეგმის ფული თითო მანეთი, რომელიც უნდა ჩაირიცხოს საკანცელარიო ხარჯის კრედიტის აღსადგენად.

✦ წვიმებისა და ნოტიო ამინდების გამო პურის მოსავალი ბორჩალოს მაზრაში იყო საშუალო. ვენახები ძალიან ზარალდებიან ნაცრისა და მილდიუსაგან. კარტოფილი ლპება მიწაში. კანაფის მოსავალი კარგია. რუსების ლობაშენში ჰფიქრობენ მეორეთ გათიბონ ბალახი. თამბაქო მშვენივრად იზრდება, და იმედია, რომ მოსავალი ერთი-ორად და სამად მეტი იქნება ჩვეულებრივზე.

✦ მთის ნიაღვრებმა ძალიან გააფუჭეს ალაიანის სახელმწიფო ამერიკული ვაზის სანერგე, რომელიც ავსებულია გარეშე მთებიდან ჩამოტანილი ლამით, ქვიშით და ქვით. ზოგიერთი ნაწილი მისი სულაც წაღებულია. მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულისაგან გაგზავნილი აგრონომი ზავაროვი იწერება შემდეგ მოხსენებას: ალაიანის გარემოებში ასტყდა საშინელი ქარიშხალი, რომელსაც მოჰყვა წვიმა და სეტყვა. ამის გამო დიდმა ნაკადულმა წყლისამ ქვითა და ყორით გაავსო მთელი ბაღი, გაანგრია ღობე და გადავარდა სანერგეში, საცა მარტო 25 ათასი ნახარები ნამყენი გააფუჭა, ბევრი ვაზის ფესვები გამოაჩინა, ბევრი ვაზი სულაც მოგლიჯა. ბაღში და ღობეებთან ხრამები და რუები გაკეთდა სიღრმით 1 არშინამდე.

✦ აგრონომი საკოვი, რომელმაც მიწად-მოქმედების სამინისტროს რწმუნებულის განკარგულებით დაათვალიერა 40-ზე მეტი სოფელი ახალ ქალაქის მაზრაში და გამოიკვლია რამდენად გაუფუჭებია მოსავალი გოტენტოტურ ბაღლინჯოს, წაიკითხავს აგვისტოს დამლევს მოხსენებას იმის შესახებ, თუ რა ნავნები მოუტანიათ ჰირნახულისათვის მინდვრის მწერებს და აჩვენებს მსმენელთ გაფუჭებულ მცენარეებს და თვით მავნე მწერებს. ეს მოხსენება დიდად საყურადღებოა და მისი მოსმენა შეუძლიან ყველას, რათა რაც შეიძლება ბევრმა გაიცნოს ეს მოსავლის ავადმყოფობა და ის მწერები, რომელნიც აცლიან ხელიდან მეურნეს მინდვრის მოსავალს. საყურადღებო ის არის, რომ მავნებელ მწერთა შესევა ახალქალაქის მაზრაში შემთხვევითი არ არის, არამედ შედეგია მცხოვრებთა უვიცობისა, რომელთაც ადრევე ვერ შეუმჩნევიათ მავნე მწერთა გაჩენა, რამდენიმე წელიწადი არავითარი ღონისძიება არ მიუღიათ მათ გასაწყვეტად და ამას ხელი შეუწყვია მწერის გამრავლებისათვის. კიდევ საყურადღებო ის არის, რომ ბ-ნ საკოვს ახალქალაქის მაზრის დათვალიერების დროს უნახავს მავ-

ნე მწერები ბუჩქებზედა ხეებზედაც. („ნ, ობ.“)

✦ სიღნაღის მომრიგებელ-მოსამართლის თანაშემწემ ბ-ნმა რუდინსკიმ მიუსაჯა ყველა სიღნაღელ ყასბებს სამი კვირით დაპატიმრება იმის გამო, რომ ამ უკანასკნელთ მოახდინეს შეთქმულობა ხორცის ნიხრის მომატებისათვის.

✦ კავკასიის გზათა ოლქში, სამინისტროს თანხმობით, ახალი განაწილება უნდა შემოიღონ განყოფილებათა შორის. მთელი კავკასიის მხარე წინანდებურად განაწილებული იქნება შვიდ განყოფილებად, ხოლო გაუქმებულ ქუთაის-სოხუმის განყოფილების ნაცვლად დაწესებულ იქმნება განყოფილება ტფილისისა, რომლის უფროსის მუდმივი ბინა იქნება ტფილისში.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოძრაობის უფროსი ბ-ნი ვერხოვსკი, რომელიც ბ-ნი იზმაილოვის ნაცვლად იქმნა დანიშნული, ხუთშაბათს, 24 აგვისტოს უკვე ჩამოვიდა ტფილისში და ამ დღეებში შეუდგება სამსახურის შესრულებას

✦ **სოფ. ქვემო-მაჩხაანიდან** (სიღნაღის მაზრ) გვწერენ: „ქვემო-მაჩხაანელებისა და ახლო-მახლო სოფლელების სასიამოვნოდ ამ თვის მეორე ნახევარში ჩვენ გვეწვივნენ ტფილისის დრამატიული დასის არტისტები ქ-ბნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა და ვასილ აბაშიძე. ადგილობრივი ბოქაულის თავ. ნიკოლოოზ ერისთავის თაოსნობით აქ კვირას, 20 აგვისტოს, გაიმართა საქველ-მოქმედო წარმოდგენა, რომელშიაც ადგილობრივ სცენის მოყვარეთა გარდა მონაწილეობას ღებულობდნენ ზემოდ ხსენებული ჩვენი საყვარელი არტისტები. წარმოდგენილი იყო ზაქარი ანტონოვის ცნობილი პიესა „მე მინდა კნეინა გავხდე“ და თავ. ივ. მაჩაბელის მიერ გადმოკეთებულ ორ მოქმედებიანი კომედია „ადვოკატი მელაძე“. ორივე პიესა საუცხოვოდ წარმოადგინეს. სცენის ახალგაზდა მოყვარეთა შორის თავის მოხდენილის თამაშობით საზოგადოების ყურადღება დაიმსახურა პელაგია ნაცვლიშვილმა, კარგები იყვნენ თავთავიანთ როლებში დიმიტრი ნადირაძე (მაჩხანელი), ი. მენთეშაშვილი, ა. ნადირაძე და ვ. ურუშაძე. წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო, რომელზედაც წარმოდგენამ მშვენიერი ზედ გავლენა იქონია, რაიც მტკიცდებოდა იმ საერთო ალტაცებით, რომელიც გამოიჩინა საზოგადოებამ ჩვენი ძვირფასი სტუმრების მიმართ. საზოგადოებამ სთხოვა ნ. გაბუნიას და ვ. აბაშიძეს კიდევ ერთი წარმოდგენის გამართვა, რაზედაც ჩვენი სტუმრები დასთანხმდნენ. ამ კვირას გაიმართება მეორე წარმოდგენა. სასურველია, რომ ჩვენი სცენის მსახიობნი ხშირ-ხშირად დაიელიდნენ ხოლმე ჩვენს მიყრუებულ სოფლებს და თითო-ოროლა წარმოდგენებს გამართავდნენ ხოლმე ადგილობრივ სცენის მოყვარეთა შეწევნით, რომელნიც, ღვთისით, ცოტ-ცოტა ყოველ წლივ ემატება ჩვენს სოფლებს.

დიდი მადლობის ღირსია თავ. ნ. ერისთავი, რომელმაც იკისრა წარმოდგენის გამართვა და რომელიც მუდამ თანაგრძნობით ეკიდება ხოლმე ყოველს გასაჭირს ჩვენის მხრისას.

# საღამოს დეპეშები

25 აგვისტო

**გლასგო.** სასანიტარო მოხელეთა დღევანდელ ბიულეტენში ნათქვამია, რომ შავი ჭირით ავად ახლად აღარავინ გამხდარა და იმ ავადმყოფთაგანნიც, რომელნიც მკურნალების მხედველობის ქვეშ არიან, ორნი მორჩნენ. ფიქრობენ, რომ ამ სატკივარს მალე ბოლოს მოუღებენ.

**ტრომზე.** „სტელა პოლარე“ იმყოფებოდა ნავთსადგურში ყინულში, სრულიად მიკრული მიწაზე; ძირი გემისა წყლით ავსებულიყო; გემი შეეკეთებინათ, მაგრამ წყალი მაინც შედიოდა. ორი თან მოყოლილი კარვისაგან გეემართათ ქოხი, რომლისათვისაც მოგზაურებს გადეეხურათ იალქანი და ზედ დეელაგებინათ გემიდან მოგლეჯილი ვიწრო ფიცრები, ასე რომ მთელი იალქანი ავსებული იყო ფიცრებით, ქოხში შეეტანათ თან მოყოლილი ფეჩები. პირველ ღამეს ქოხში იყო 7 გრადუსი სიცივე, წალებიც კი გაყინულიყო, შემდეგ კი შესაძლებელი გახდა ქოხში ყოფნა. ქოხს სიმაღლე ჰქონდა 18 ფუთი და მთლად თოვლით იყო შემოსილი. აქედან გაეგზავნათ ოთხი ექსპედიცია: პირველი იყო გამოგზავნილი ჩრდილოეთისაკენ სადგურის გასამართავად და ამას ორი დღის სიარული მოუხდებოდა. მეორე ექსპედიცია, შემდგარი ერთი ნორვეგიელი მაშინისტისა და ორი იტალიელისაგან, უნდა მონდომებოდა მგზავრობას 12 დღეს, მაგრამ უკან აღარ დაბრუნებულა; მესამე ექსპედიცია გაგძელდა 24 დღე, ხოლო მეოთხე—105 დღე. უკანასკნელი მივიდა 86 გრადუს 33 მინ.; ამ ექსპედიციაში იყვნენ საპიტანი კანი, ორი ალპიელი და ერთიც იტალიელი. კანიემ გამართა საწყობები უგზო-უკვლოდ დაკარგულთათვის, მაგრამ თითქმის საიმედო არ არის, რომ ისინი ცოცხალნი იყვნენ. ექსპედიციამ მეცნიერულის მხრივ საკმაო ნაყოფი მოიტანა: 40 დათვი და ერთი ლომ-თევზი დაიჭირეს. „სტელაპოლარე“ აქედან წავიდა ნაშუადღევის 4 საათზე.

**შანჰაი.** ინგლისელებმა გადმოიყვანეს 700 სიკი, 350 საპეგი და 118 კაცი ინდოეთის ცხენოსანი ჯარისა, ისე რომ არავისთვის არ შეუტყობინებიათ; უკანასკნელნი მსწრაფლ წავიდნენ პეკინში. ლიხუნჩანგს იხმობენ პეკინში. მოხელენი ამბობენ, რომ თუ ის არ წავა პეკინში, სახელმწიფო განსაცდელში იქნება.

**ბერლინი.** ტაკუში მყოფ გემთა ესკადრის მეორე ადმირალი იტყობინება პეკინიდან, რომ 15 აგვისტოს გაიარა ჯარმა სასახლეზე. შევიდნენ სამხრეთით და გავიდნენ ჩრდილოეთით. ჯარმა გაიარა მისალებ დარბაზებზე, რომლებიც ბინძური და აოხრებულის სანახავისანი იყვნენ. განძეულობა იქ არ აღმოჩნდა. შემდეგ სასახლე დაკეტეს. როგორც ისმის დედოფალი გაიქცა მხოლოდ 2 აგვისტოს დილით.

**სოფია.** „ბოლგარიის სააგენტო“ უარჰყოფს., რომ საეაჭრო მინისტრმა ნაჩევიჩმა გამოაცხადა, ვითომ ბოლგარიის მართველობა მზად არის ახლავე სამართალს მისცეს დამნაშავენი, რომელთაც ჰბრალდებათ მიხაილანუს მოკვლა. და არ მოუცადოს სასამართლოს განაჩენს. სააგენტო ამას უმატებს, რომ საქმის დაწყებისათანავე ბოლგარიის მართველობამ გამოაცხადა, რომ მიიღებს თუ არა იგი საკმაო ბრალმდებელ საბუთებს დამნაშავეთა წინაამდეგ მაშინვე სამართალში მისცემს მათ.

**ლონდონი.** საღამოს გაზეთებში გამოქვეყნებულია დეპეშა, 24 აგვისტოს რიცხვით, მიღებული ჰონკონგიდან, რომელშიაც სწერია ლიხუნჩანგის მდივნის ნაამბობი, რომ ლიხუნჩანგი 25 აგვისტოს მიდის შანჰაიდან პეკინში. მდივანს დაუმატებია, ლიხუნჩანგმა მიიღო ცნობაო, რომ მოკავშირენი თანდათან უბრუნებენ ჩინელთ მმართველობას პეკინში და ცინი დანიშნულია ქალაქის საიმპერატორო ნაწილის მმართველად.

**პეტერბურგი.** ღამით დაიწვა გასართობი ბაღი „არკადია“, თეატრი გადაარჩინეს; ადამიანთაგანი არავინ უმსხვერპლია.

გზათა მინისტრის ამხანაგის თანამდებობის აღმასრულებელი ტაინი სოვეტნიკი მიასოედოვ-ივანოვი დაინიშნა მინისტრის ამხანაგად.

**ევერდინი.** აქ მოვიდა მეთევზე გერნი ბერგენიდან საეჭვო სატკივრის ნიშნებით ერთი კაცი განაცალკევეს და გემსაც წამლები შეასხეს; მკურნალებს ჩაიბარეს კიდევ ორი ავადმყოფი.

დრ. რედ. ალ. ჯაბადარი

## გამოსადეგი ცნობანი

### ნიხრი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 | გ. | $8\frac{1}{2}$ | კ. |
| სუკი | » | — | 15 | კ. |
| » ცხვრისა | » | — | $8\frac{1}{2}$ | კ. |
| » ღორისა | 1 | — | 8 | კ. |
| » კამეჩისა | » | — | 5 | კ. |
| » ღორის ბარკალი სალორეთი | 1 | » | —10 | კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს აის ჯვარი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარ. | 1 | გ. | 5 | კ. |
| » » | II | » | » | $3\frac{1}{2}$ | » |
| » » | III | » | » | 3 | » |
| იგივე თორნისა | I | » | » | 5 | » |
| » » | II | » | » | 4 | » |
| » » | III | » | » | $3\frac{1}{2}$ | » |
| ლავაში ჯვ. მამ. | I | » | » | 6 | « |
| » » | II | » | » | 4 | « |

### ტფილისის ბაზრები:

ბაიყიდა მეიდნებზე: ბოგზალეზე:

| | | მ. | კ. | მ. | კ., |
|---|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. ფუთი. | 1 | 1 | 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი. | 1 | 1 | 15 | კაპ. | |
| ქერი | 1 | —მ. | —70 | კ. | |
| სიმინდი | 1 | — | 65 | — | — |
| ფქვილი სოფლისა | 1 | 1 | 20 | — | — |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | — | — |
| კომბოსტო | 1 | — | 30 | — | — |
| კარტოფილი | 1 | — | 65 | — | — |
| ხახვი | 1 | — | 10 | — | — |
| თავა | 1 | — | 25 | — | — |
| ბჟე. | 1 | — | 23 | — | — |

შუშა რეხილისა 1 სრული საკ. საწყობებში 38 მ., შუშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. კაშეიკა-დან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი მუსაბმელი 40 მ., კამეჩი 60 მ. კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მ.

### საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა**, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

გუგაიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. გასუმოვი.

**ხარფუხისა**, ვორონცოვის ქუჩა, სახლი იელიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების **სამკურნალო**, ელიზაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის ღფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მექქესე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

---

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

(მატარებელთა მიმოსვლა განწესრიგებულია პეტერბურგის საათის თანახმად, რომელიც 58 წუთით უკან არის ტფილისის საათზე.)

**სწრაფი მატარებელი № 1** ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 11 ს. 19 წ.; ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 41 წ.

**სწრაფი მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 11 ს. 18 წუთ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 9 ს. 30 წ.

**საფოსტო მატარებელი № 3** ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 11 ს. 29 წ., ტფილისში მოდის საღამოს 5 ს. 34 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 6 ს. 34 წუთ., ბათუმში მიდის დილის 7 ს. 14 წ.

**მატარებელი № 4** ბათუმიდგან ტფილისში გამოდის 7 საათ. 59 წ. საღ., ტფილისში მოდის 8 ს. 42 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 10 ს. 05 წ., ბაქოში მიდის ღამის 5 ს. 16 წ.

**საფოსტო მატარებელი № 74/75** ტფილისიდან ყარსში გადის საღამოს 9 ს., ყარსში ჩადის 12 ს. 56 წ. დღით.

**საფოსტო მატარებელი № 76/77** ყარსიდან ტფილისში გამოდის ნაშუადღ. 3 ს. 29 წ., ტფილისში მოდის დილის 7 ს. 15 წ.

**სახალხო მატარებელი № 5** ბაქოდან ტფილისში გამოდის ნაშუად. 4 ს. 01 წ. ტფილისში მოდის 8 ს. 53 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 32 წ., ბათუმში ჩადის ღამის 9 ს. 01 წ.

**სახალხო მატარებელი № 6** ბათუმიდგან ტფილისში გამოდის დილ. 7 ს. 50 წ.; ტფილისში მოდის საღამოს 7 ს. 15 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღამ. 7 ს. 45 წ., ბაქოში ჩადის შუად. 12 ს. 10 წ.

მატარებელი № 7 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 1 ს. 45 წ., ბორჯომში მიდის 6 ს. 50 წ. საღ.

მატარებელი № 8 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 12 ს. 30 წ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 6 ს. 20 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 4 ს. 10 წ., მეორე—დღის 11 ს. 20 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 26 წ., ფოთში მიდის—პირველი 6 საათ. 19 წ. დილით, მეორე—1 ს. 29 წ. დღ. და მესამე—საღ. 9 ს. 42 წ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის ორი მატარებელი: პირველი—ღამის 12 ს. 52 წ., მეორე—8 ს. 49 წ. საღ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—11 ს. 04 წ საღ.

სახალხო მატარებელი № 33 რიონიდან ქუთაისს გადის დილის 9 ს.; ქუთაისში მიდის 9 ს. 25 წ.

საავგარაკო მატარებელი № 15 ტფილისიდან მცხეთას გადის დილის 7 ს. 19 წ., მცხეთაში მიდის 8 ს.

საავგარაკო მატარებელი № 16 მცხეთიდან ტფილისში გამოდის საღ 9 ს., ტფილისში მოდის საღ. 9 ს. 38 წ.

საავგარაკო მატარებელი № 18 გორიდან ტფილისში გამოდის საღ. 6 ს. 46 წ., ტფილისში მოდის 8 ს. 59 წ. საღ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 57 შორაპნიდან ჭიათურაში გადის ღამის 2 ს. 20 წ.. ჭიათურაში მიდის 5 ს. 12 წ. ღამ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 58 ჭიათურიდან შორაპანში გადის დილის 9 ს. 48 წ.; შორაპანში ჩმიდის 12 ს. 40 წ. ღამ.

---

# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,

რომ მის თანდასწრებით შუადღეს 12 საათზე, 1900 წ. 28 აგვისტოს, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლით იჯარით გაიცემა უსუფთაობის მილის გაკეთება აწ არსებულიდან ჭავჭავაძის ქუჩაზედ კარსელოვის სახლამდე ამავე ქუჩაზედ სიგრძით 26,00 საჟ. მილის განი—0,25×0,16 საჟ. 570 მანეთისა.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის მესამე განყოფილებაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. (ნ. 3—2)

---

## ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით

აცხადებს, რომ მის თანადასწრებით, მდგომარე 1900 წელს 28 აგვისტოს, შუადღის 12 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლითაც უნდა გაიცე¹ს იჯარით მამა-დავითის ეკკლესიისაკენ მიმავალ გზის შემმაგრებელი კედლების აშენება,—სულ 12 კუბიკური საჟენი 900 მანეთისა.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის მესამე განყოფილებაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. (ნ. 3—2)

---

## ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,

რომ მდგომარე 1900 წლის 28-ს აგვისტოს, შუადღის 12 საათზე, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლითაც გაიცემა იჯარით შეკეთება ქალაქის სახლის გარეთა კედლისა (მიოვევისეული, სადაც ეხლა ტფილისის კრუჟოკია) გოლოვინის პროსპექტზე. მუშაობა ღირს სულ 1124 მან.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის მესამე განყოფილებაში ყოველ-დღე, კვირა უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. (ნ. 3—2)

---

## ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,

რომ მის თანადასწრებით შუადღის 12 საათზედ 1900 წ. 28 აგაისტოს, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლით იჯარით გაიცემა უსუფთაობის მილის გაკეთება აწ არსებულიდან ოლღას ქუჩაზედ ბოლოტოვის სახლამდე მოსკოვის ქუჩაზედ და ჯავროვსი სახლამდე მოსკოვის ვიწრო ქუჩამდე—სიგრძით სულ 190 საჟ.; განი მილისა×,42,00,28 საჟ. და მეორე სიგრძით 50 საჟ. სიგანით 0,25×0,19 საჟ.—სულ 6780 მანეთისა.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის მესამე განყოფილებაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუდღევის 3-მდე. (ნ. 3—2)

---

## ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,

რომ მის თანადასწრებით, 28 აგვისტოს 1900 წ., შუადღის 12 საათზე, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, უსუფთაო მილის გასაკეთებლად აწ არსებულიდან ნოვო-არსენალნი ქუჩაზე გრიქუროვის სახლის ალაყაფის კარამდე პანასევის ქუჩაზე, სიგრძით 74,00 საჟ, სიგანით 0,42×0,25 საჟ. 1749 მანეთისა.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის მესამე გინყოფილებაში ყოველდღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევს 3-მდე. (ნ. 3—2)

გამომც. გ. გუნია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 Августа 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. განქის დიდი ქუჩა, № 27.